ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი № 17

30 ოქტომბერი

2024 წელი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-V მოწვევის საკრებულოს

წევრთა სარეგისტრაციო

ს ი ა

30 ოქტომბერი, 2024 წელი.

სხდომა N 17

11:00 საათი

1. ნუგზარ ჯამბურია -
2. ვაჟა სტურუა -
3. ნათია პაპავა -
4. ვალერიანე ფოცხვერია-
5. მანანა სირბილაძე -
6. მერაბ უღრელიძე - ✓
7. ტარიელ ცომაია -
8. ირაკლი მელაშვილი -
9. გიორგი ლეჟავა -
10. ტარიელ დვალიშვილი -
11. ზაზა ადეიშვილი - ✓
12. დავით ჯანელიძე -
13. გოჩა არველაძე -
14. პაატა კოხრეიძე -
15. ჯონი თევზაძე -
16. ბექა თევზაძე -
17. ლიზა კრავეიშვილი -
18. ჯონი ახიბაძე -
19. მაია ტალაბაძე ✓ -
20. ბადრი შენგელია -
21. ლელა ჩოჩგოლაშვილი -
22. გრიგოლ ჩიგოგიძე -
23. გიორგი გაგუა -
24. ვიეი ჯულაყიძე ✓ -
25. კობა ძიძიგური -
26. ემზარ შუბლაძე ✓ -
27. დავით ნიკოლეიშვილი -
28. აკაკი მინაშვილი -
29. ავთანდილ თადუმაძე ✓ -
30. ქეთევან კუტალაძე ✓ -
31. მარიამ ბარბაქაძე ✓ -
32. ლაშა გრიგოლია -

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის
ო ქ მ ი N 17

ქ. სამტრედია. **30 ოქტომბერი, 2024 წელი.**

2024 წლის 30 ოქტომბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ჯონი თევზაძე, ბექა თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, კობა ძიძიგური, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი,
2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტები: ნატო ჯულაყიძე, ბეჟან გოგია.
3. გაზეთი ,,სამტრედიის მაცნე"-ს პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა.

ნუგზარ ჯამბურიამ წარმატება, ბედნიერება და მშვიდობა უსურვა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, ,, მადლობას მოგახსენებთ გაწეული მუშაობისათვის. დარწმუნებული ვარ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო, თავისი იდენტობით, თავისი ქრისტიანული მრწამსით, ერთგულებით, ოჯახური სიწმინდის დაცვით, თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებს არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიო ცივილიზაციის უზარმაზარ სივრცეში. ნებისმიერი ჩვენთაგანის მიერ და ქვეყნის მასშტაბით ღირსეულ ადამიანთა ნაკვალევზე გავლილი გზა, მომავალი თაობებისათვის იქნება ღირებულების, ღირსების და ხვალინდელი დღის დიდი საგანძური. კიდევ ერთხელ, წარმატება ჩვენს ქვეყანას. (საკრებულოს წევრებმა მოისმინეს საქართველოს ეროვნული ჰიმნი.)

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" პუნქტის

„ბ.ი" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განიხილა. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის **30 ოქტომბრის** სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის **30 ოქტომბრის** სხდომის დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე, 914.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.63.094) სახელმწიფოსთვის, საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ. ცომაია./

2. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №66-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, (1123.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.543) არსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობების საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ. ცომაია./

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ს.ს. „საფეხბურთო კლუბი სამტრედია"–ს შორის 2023 წლის 17 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით შეწყვეტისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატრო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

4. ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. N95–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობების, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. N52ᵃ–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში ს.ს. „საფეხბურთო კლუბი სამტრედია"–სთვის გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატრო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

5. **სხვადასხვა.**

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ".

განცხადების უფლება ითხოვა საკრებულოს წევრმა, კობა ძიძიგურმა. მან აღნიშნა, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები არ იყო არც დემოკრატიული და არც სამართლიანი და არასახავს ქართული ხალხის ნებას. არჩევნები გაყალბებულია, მოპარულია და მიტაცებულია ათასობით ამომრჩევლის ხმა. ძალადობის მეშვეობით დაიწერა ხელისუფლებამ საარჩევნო პროცენტი, რომელიც არ შეესაბამება ქართველი ხალხის არჩევანს. ამის გამო მე, პროტესტის ნიშნად, ვტოვებ საკრებულოს სხდომას. (განცხადება ოქმს თან ერთვის).

საკრებულოს წევრის, კობა ძიძიგურის განცხადებას, მწვავედ გამოეხმაურნენ საკრებულოს წევრები: მ.სირბილაძე, ლ.კრავეიშვილი, ჯ.ახობაძე, ტ.ცომაია, გ.არველაძე, ტ.დვალიშვილი, რომლებმაც კოლეგის გამოსვლა შეაფასეს სიცრუის, არაკორექტურობისა და საარჩევნო პროცესების არარეალურად ასახვაში. აღნიშნეს, რომ საქართველოს მოქალაქეებმა გამოხატეს მხარდაჭერა განვითარების, სტაბილურობისა და ტრადიციული ღირებულებების მიმართ, რაც საქართველოს ყოვლისმომცველ განვითარებას და კეთილდრეობას შეუწყობს ხელს. პატივი ვცეთ ქართველი ხალხის არჩევანს. აღნიშნულმა პასუხმა დარბაზში გამოიწვია პოლემიკა, რომელშიც ჩაერთვნენე საკრებულოს ოპოზიციური ფრთის წარმომადგენელები, აკაკი მინაშვილი და დავით ნიკოლეიშვილი. საბოლოოდ, *საკრებულოს სხდომა კობა ძიძიგურთან ერთად, დატოვეს საკრებულოს წევრებმა:* დავით ნიკოლეიშვილმა და აკაკი მინაშვილმა. (სულ სამმა წევრმა)

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე, 914.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.63.094) სახელმწიფოსთვის, საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ".

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 108-ე მუხლის, სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის 2024 წლის 01 აგვისტოს MRDI-RD N2-08/11503 მიმართვისა და ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 18 ივლისის №5/40864 მომართვის შესაბამისად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 914.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.63.094) სახელმწიფოსთვის, საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 914.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.63.094).

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (21 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე, 914.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.63.094) სახელმწიფოსთვის, საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ".

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №66-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, (1123.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.543) არსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობების საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ".

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 19 სექტემბრის*** N62-622426383 წერილობითი მომართვის საფუძველზე, განიხილა ,,ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №66-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, არსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობების საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის საკითხი. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის ზემოთ აღნიშნული შენობა-ნაგებობები განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტებად.

- პრივატიზება განხორციელდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.
- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 300 (სამასი) ლარი.
- ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 30 (ოცდაათი) ლარი.
- საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 100 (ასი) ლარი.

პირობად განისაზღვროს, რომ:

- შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.
- ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.
- შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 30 (ოცდაათი) დღე. აღნიშნული 30 (ოცდაათი) დღიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ, აუქციონის შედეგად განსაზღვრული ღირებულების სრულად გადახდის დღიდან.
- გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (21 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №66-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, (1123.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.543) არსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობების საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ".

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია"-ს შორის 2023 წლის 17 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით შეწყვეტისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

საკითხი განიხილა საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, რომ მხარეთა შეთანხმებით შეწყვიტოს, სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ს.ს. „საფეხბურთო კლუბი სამტრედია"-ს შორის, 2023 წლის 17 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების, ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95-ში მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52ᵃ-ში მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) თხოვების ხელშეკრულება.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (21 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ს.ს. „საფეხბურთო კლუბი სამტრედია"-ს შორის 2023 წლის 17 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით შეწყვეტისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. N95-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. N52ᵃ-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში ს.ს. „საფეხბურთო კლუბი სამტრედია"-სთვის გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე".

საკითხი განიხილა საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ს.ს. „საფეხბურთო კლუბი სამტრედიას" (საიდენტიფიკაციო კოდი-438735727) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება:

ა) ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95-ში მდებარე 34693 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები, (№1, განაშენიანების ფართი 1172 მ²; №2, განაშენიანების ფართი 95 მ²; №3, განაშენიანების ფართი 99 მ²; №4, განაშენიანების ფართი 13 მ²; №5, განაშენიანების ფართი 16 მ²,), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033.

ბ) ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52ᵃ–ში მდებარე 5930 მ² არასასოფლ
სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა–ნაგებობა, (N
განაშენიანების ფართი 1068 მ².), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.03

- უძრავი ქონება, ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია"-ს მიერ გამოყენებულ უნდა იქნ
მისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის.

- უძრავი ქონების სარგებლობის ვადად განისაზღვროს 2 (ორი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (21 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,ქალაქ სამტრედია
რუსთაველის ქ. N95–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა
მასზე არსებული შენობა–ნაგებობების, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კო
№34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. N52ᵃ–ში მდებარე არასასოფლ
სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობის, (მი
(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვ
ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია"–სთვის გადაც
შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე".

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: *ნუგზარ ჯამბურია.*

საქართველოს პენიტენციალურის სისტემის
აპარატის სისტემის წევრის, კოხა ძიძიგურის

განცხადება

2024წლის 26 ოქტომბრის ჩვენი ერთ-ერთი ერ-ერთ-ერთ-ერთ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის

V მოწვევის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი №17

შედგება 8 / ხვ

ფურცლისგან

სამტრედიის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

თავმჯდომარე

ნუგზარ ჯაფარიძე

2024 წელი